

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

თბილისი, დეკემბერი, 2019

№27

*ახალი ამბები*

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

გამოთხოვება ბრუნო ნეტლთან

ქართული სიმღერის დიდოსტატები ნელ-ნელა  
გვტოვებენ

*ბავშვთა ტრადიციული ანსამბლი*  
„უნისონი“

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*  
ანსამბლი „საჩუქარი“ საფრანგეთიდან

*ქართული სიმღერის მოამაგეები*  
რემა შელეგია

*ექსპედიციის დღიური*  
კომპლექსური ექსპედიცია აჭარაში

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*  
სუზან თომპსონი

*ეთნოგრაფიული წერილები*  
შრომის სიმღერები გურიაში (ნაწილი II)

ქართულ-უცხოური ოჯახები ქართული ტრადიციების  
სადარაჯოზე

*ერთი რეგიონული ანსამბლი*  
„რიპო“

*უცხოური მრავალხმიანობა*  
ისლანდიური თვისონგური

*ერთი ტრადიციული საკრავი*  
აფხარცა

*ერთი ტრადიციული რიტუალი*  
ლაშარობის დღესასწაული საქართველოში

ლაშარის სიმღერა

## ახალი ამბები

### საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2019)

#### **ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები**

**10-17.07.2019** - ტაილანდში, ჩულალონგკორნის უნივერსიტეტში გაიმართა ICTM-ის 45-ე მსოფლიო კონფერენცია, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობა მიიღო ტმკსც-ის სპეციალისტმა და ICTM-ში საქართველოს რეგიონულმა წარმომადგენელმა თეონა ლომსაძემ.

**7-9.09.2019** - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ჩაატარა ფოლკლორის მესამე საერთაშორისო ფესტივალი „საქართველო“, რომელიც „ბლექ სი არენაზე“ გაიხსნა და რაჭაში (ონისა და ამბროლაურის რაიონებში) გაგრძელდა, სადაც გაიმართა ქართული და უცხოური ანსამბლების ერთობლივი კონცერტები, სამეცნიერო კონფერენცია ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგების მონაწილეობით და აგროფესტივალი.

**15.07-3.09.2019** - #გაატარაფხვისაქართველოში კამპანიის ფარგლებში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეზოში გაიმართა თბილისური ფოლკლორული ანსამბლების კონცერტების სერია სახელწოდებით: „ქართული მრავალხმიანობა საქართველოს სტუმრებს“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „სახიობა“, „ბასიანი“, „დიდგორი“, „ადილეი“, „კიმილია“, „მჭელი“, „ბერელიძეების საოჯახო ანსამბლი“, ტრიო „ბალადა“, „სათანაო“, „იალონი“, „ერისიონი“, მომღერალმა ლელა თათარაიძემ.

**10.10-4.12.2019** - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მხარდაჭერით, თბილისსა და საქართველოს რვა მუნიციპალიტეტში ხალ-

ხური სადამოების სერია მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „ანჩისხატი“, „ადილეი“, „სახიობა“, „დიდგორი“, „სათანაო“, „შილდა“, „შავნაზადა“, ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი“, „რიჰო“, „ნადური“, „თბილისი“, „ბასიანი“, ტრიო „იარალი“.

**12-13.10.2019** - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისის ტაძრის ეზოში გაიმართა ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის მეორე ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

**7-9.11.2019** - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტმა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XIV საერთაშორისო ფესტივალი ჩატარა.

**17-22.11.2019** - ტმკსც-ის ხელმძღვანელი რუსუდან წურწუშია, როგორც იუნესკოს არამატერიალური კულტურის ექსპერტი, იმყოფებოდა ქალაქ ჩენგდუში (სამხრეთ ჩინეთში, სიჩუანის პროვინცია) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის VII საერთაშორისო ფესტივალზე.

**21-23.11.2019** - პორტუგალიის ქალაქ ავეირუს უნივერსიტეტში გაიმართა ეთნომუსიკოლოგიური კონფერენცია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ტმკსც-ის სპეციალისტმა თეონა ლომსაძემ.

**2-4.12.2019** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტმკსც-ს ორგანიზებით ჩატარდა ცნობილი ქართველი მუსიკოლოგის, გივი ორჯონიკიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „მუსიკა კულტურის კონტექსტში“.

#### **ექსპედიციები**

**12-22.07.2019** - საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობისა“ და გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტის ინიციატივით, აჭარის ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტე-

ტებში ჩატარდა სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიცია პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორის, ფრენკ შერბაუმის ხელმძღვანელობით, რომელშიც მონაწილეობდა ტმკსც-ის დირექტორის მოადგილე, ნინო რაზმაძე.

**13.07-1.09.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „შენი ფოლკლორული იდეა“ ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, ეთნომუსიკოლოგმა გიორგი კრავეიშვილმა ჩაატარა ფოლკლორული ექსპედიციები ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში, სარფში, ბათუმსა და მახინჯაურში.

**6-20.08.2019** – ანსამბლმა „ადილეი“ მოაწყო ექსპედიცია რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის სოფლებში ხალხური სიმღერების ჩასაწერად და შესასწავლად.

**27.08-6.09.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „შენი ფოლკლორული იდეა“ ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, ალექო გელაშვილმა მოაწყო ქორეოლოგიური ექსპედიცია ზემო აჭარაში – ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში.

**ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.**

**5.07.2019** – თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების ორგანიზებით, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში შედგა ტმკსც-ს სპეციალისტის, ბაია ჟუჟუნაძის საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული ტრადიციული ცეკვა ქართულ კინემატოგრაფიაში“.

**25.09.2019** – სამეგრელოში, ქალაქ სენაკში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა სალოტბარო სკოლა გახსნა.

**26.09.2019** – ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების მუზეუმში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ ნინო ნანიეშვილის ვორქშოფი ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის.

**26.09.2019** – მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტმკსც-ის დირექტორის მოადგილემ, ნინო რაზმაძემ და სპეციალისტმა, ბაია ჟუჟუნაძემ გამართეს პრეზენტაცია/ვორკშოფი – ქართული სიმღერა დასავლეთ თურქეთში, რომელიც ითვალისწინებდა 150 წლის წინ ბურსას რეგიონში (თურქეთი), გადასახლებული ჩვენებურების (აჭარლების) ტრადიციული ფოლკლორის გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის.

**26.09.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის „ფოლკლორის ბაღში“ მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა დავით ჯავრიშვილის 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

**7-11.10.2019** – ტმკსც-მა ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად საქართველოში მოაწყო Erasmus+-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში „UNESCO-ს მიერ აღიარებული ფასეულობების ქსელური კავშირები“ მონაწილე ქვეყნების (მაკედონია, ესტონეთი და ლატვია) რიგით მეოთხე შეხვედრა, სტუმრებმა მოინახულეს კახეთისა და იმერეთის ღირშესანიშნაობები, დაესწრნენ სპეციალურად მათთვის მოწყობილ ვორქშოფებს ხალხურ რეწვაში, სიმღერასა და ცეკვაში; და შეხვდნენ ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლებს.

**15.10.2019** – საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ დარბაზში ფონდმა „ქართული გალობა“ და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამართა ჯემალ ჭკუასელის მონოგრაფიის (ავტორი – ეთერ თათარაიძე) პრეზენტაცია.

**28.10.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში კონკურსის „შენი ფოლკლორული იდეა“ ერთ-ერთი გამარჯვებულის, გიორგი კრავეიშვილის პროექტის „ექსპედიცია სამეგრელოში“ პრეზენტაცია გაიმართა,

რომელზეც წარმოდგენილი იყო ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების ათ სოფელში ჩატარებული ექსპედიციების ანგარიში.

**29.10.2019** – ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ჩატარდა მაგდა სუხიაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული საეკლესიო გალობა – ტრადიცია და შემსრულებლობა“.

**7.11.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა თიანეთის მუნიციპალიტეტში სალოტბარო სკოლა გახსნა.

**24.11.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა წიგნების – „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. სვანური ხალხური სიმღერები“ და ისლამ ფილფანის მონოგრაფიის (ავტორი – მაკა ხარძიანი) პრეზენტაცია.

**25.11.2019** – ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში გაიმართა სვანური ხალხური მუსიკის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დმანისის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლმა „შგარიდა“.

**25.11.2019** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში გაიმართა ბექა ბიძინაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „კახური სიმღერის მრავალფეროვნება და საშემსრულებლო თავისებურებები“.

**27.11.2019** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა პროფესორ ანზორ ერქომაიშვილთან, რომელსაც უნივერსიტეტის დაფუძნებასა და მასში ნაყოფიერი ადმინისტრაციულ-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ემერიტუს-პროფესორის წოდება მიენიჭა.

**6-8.12.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქორეოგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა დვალიშვილმა შუახევის მუნიციპალიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლ „ფესვებთან“ ერთად აჭარული ცეკვის მასტერკლასი ჩაატარა.

**10.12.2019** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის, თამარ ჩხეიძის ლექცია თემაზე: „ევროპული ბაროკოს თანადროული საქართველოს მუსიკალური კულტურა“.

**15.12.2019** – საქართველოს ფლკლორის სახელმწიფო ცენტრში განახლებული საკონცერტო დარბაზის საზეიმო გახსნის ცერემონიალი შედგა, რომელზეც ცენტრის დირექტორმა, გიორგი დონაძემ სამი წლის საქმიანობა შეაჯამა.

**28-29.12.2019** – ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა ჩაატარა ვორქშოპები ბელგიის ქალაქებში ლიეჟსა და ატერტში.

#### **გასტროლები**

**15-25.07.2019** – ანსამბლი „ადილეი“ საგასტროლო ტურით იტალიასა და საფრანგეთში იმყოფებოდა.

**1-10.09.2019** – ქალაქებში: იერუსალიმში, თელავისა და ჰაიფაში გაიმართა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავისა“ და საქართველოს კამერული ორკესტრის ერთობლივი კონცერტები.

**14-15.09.2019** – ფესტივალის Perugia Musica Classica ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანი“ სოლო კონცერტები გამართა იტალიის ქალაქ პერუჯასა და მონტეფალკოში.

**26.09.2019** – ანსამბლმა „შავნაბადა“, მექსიკის საელჩოს ორგანიზებით, კონცერტი ჩაატარა ქალაქ ბაქოში.

**1-4.10.2019** – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავი“ მონაწილეობა მიიღო უკრაინის ქალაქ ოდესის რეგიონალურ ფილარმონიაში გამართულ ფესტივალში სახელწოდებით „ოქროს ვიოლინოები“.

**10-15.10.2019** – საქართველოს საელჩოს შუამდგომლობით, ანსამბლმა „შავნაბადა“ მექსიკის შერთებულ შტატებში, სერვანტინოს (გუა-

ნახუატოს) რიგით 47-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

**17-20.10.2019** – ანსამბლი „დიდგორი“ მიწვეული იყო ლატვიაში, „რიგის ა კაპელა ფესტივალზე“ (Rigas A Cappella Festival), რომლის ფარგლებში გამართა კონცერტები ლატვიელ ქალთა ანსამბლ „ერასთან“ ერთად და ჩაატარა შეხვედრა-ლექციები ლატვიის კულტურის ეროვნულ ცენტრში ლატვიური გუნდების ხელმძღვანელებთან.

**29.10-2.11.2019** – ანსამბლი „შავნაბადა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსეთში (ქალაქებში სოჰსა და მოსკოვში).

**11-20.11.2019** – საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ მიწვეული იყო საგასტროლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში სადაც გამართა კონცერტები და ვორქშოფები ნიუ იორკის „ლინკოლნის ცენტრში“ და კალიფორნიისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში.

**20-30.11.2019** – ანსამბლი „შავნაბადა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში.

**3-6.12.2019** – საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, ანსამბლმა „ანჩისხატი“ გერმანიის ქალაქ ლუდვიგსჰაფენში 2 სოლო კონცერტი გამართა.

**12.12.2019** – ანსამბლმა „შავნაბადა“ სოლო კონცერტი გამართა ქ. ტალინის მთავარ საკონცერტო დარბაზში.

**13.12.2019** – გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქართული კულტურის საღამო “Folk Meets Blues”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის გუნდმა.

**20.12.2019-28.01.2020** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ლექტორი სერგო ურუშაძე მივლინებულ იქნა იტალიის ქალაქ ფლორენცის წმინდა ნინოს სამრევლოში ქართული ტრადიციული სიმღერებისა და საეკლესიო საგალობლების მასწავლებლად.

### *კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...*

**10.07.2019** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის გუნდის საანგარიშო კონცერტი.

**6.08.2019** – სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამეს „ეთნო სახლში“, ეთნომუსიკოლოგ ნინო ნანიეშვილის „კულტურულ-საგანმანათლებლო ტურის“ ფარგლებში გაიმართა ანსამბლ „იალონისა“ და შვეიცარიელ ქალთა ფოლკლორული ანსამბლის ერთობლივი კონცერტი.

**11.08.2019** – ანსამბლმა „შავნაბადა“ ჩაატარა სოლო კონცერტი თრუსოს ხეობაში დიპლომატთა კორპუსისა და თბილისის პოლიტიკური სკოლისათვის.

**24.09.2019** – მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში გაიმართა ქართული ხალხური საფერხულო სიმღერის მასტერკლასი სოფიკო ჭიაურელის სახელობის თბილისის 54-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის.

**3.09.2019** – ანსამბლმა „დიდგორი“ სოლო კონცერტი ჩაატარა სოფელ წეროვნის დევნილი მოსახლეობისათვის.

**22.09.2019** – ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ანსამბლმა „დიდგორი“ მოღვაწეობის 15 წლის აღსანიშნავად საიუბილეო კონცერტი გამართა.

**19-22.10.2019** – პროექტის „ქართულ-აფხაზური სამუსიკო დიალოგი“ ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ანსამბლ „შავნაბადას“ მოწვევით, თბილისში, თურქეთში მცხოვრები ქართველების, აფხაზების, ოსებისა და კავკასიის სხვა ერების წარმომადგენელთა ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

**7.11.2019** – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა გამოფენა-კონცერტი „ერ-

თი ხეობის ფოლკლორი – ჭვანა“.  
**8.11.2019** – ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონცერტო დარბაზში შედგა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის გუნდის კონცერტი და უნივერსიტეტის სტუდენტების მასტერ-კლასი ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისთვის.

**25.11.2019** – შოთა რუსთაველის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საიუბილეო (მე-40-ე) საღამო – „ლექსო, არ დაიკარგები“.

**14.12.2019** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებულ დარბაზში ედიშერ და გიგი გარყანიძეების სახელობის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდია „ამერ-იმერმა“ გამართა ფოლკლორული წარმოდგენა სახელწოდებით „შობის მახარობლები“.

**14,18.11.2019** – თეატრალური უნივერსიტეტის სალოტბარო მიმართულებების გუნდმა, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით, სოფელ ბერშუეთსა და ნიქოზში კონცერტები გამართა, რომელიც მიზნად ისახავდა ოკუპაციის ზოლთან მცხოვრები მოქალაქეების თანადგომას.

**19.12.2019** – წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეს იტალიის ქალაქ ბარიში ქართული სიმღერა-გალობის კონცერტი გაიმართა, რომელიც ქართველ ემიგრანტებთან ერთად მოამზადა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა, ბარიში სასწავლებლის მიერ მივლინებულმა ნატალია ყველიაშვილმა.

**28.12.2019** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ტრადიციული „ალილოზა“ გაიმართა.


**გამოცემები**

**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო**

**ცენტრმა გამოსცა:**

*ქართული გალობის ანთოლოგია*

**IX-XIII ტომები**




*ოთარ ჩიჯავაძე  
 შრომის სიმღერები დასავლეთ  
 საქართველოში*




**ფონდმა „ქართული გალობა“ გამოსცა:**

*ეთერ თათარაიძე. მონოგრაფია*

*ჯემალ ჭკუასელი*



**ალეკო გელაშვილი**  
*ცეკვის უძველესი ვიზუალური წყაროები*  
 (საქართველოს არქეო-ქორეოგრაფია)



ტმცსც-მა გამოსცა :

*IX სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული*



*მოამზადა მაკა ხარბიანმა*

**გამოთხოვება ბრუნო ნეტლთან**

ტმცსც ღრმა მწუხარებას გამოხატავს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, „ამერიკული ეთნომუსიკოლოგიის მამად“ წოდებული ამერიკელი მკვლევრის, ბრუნო ნეტლის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, საერთაშორისო ეთნომუსიკოლოგიურ საზოგადოებასა და ნეტლის შემოქმედების ყველა თაყვანისმცემელს. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გვეთანამშრომლა ამ ლეგენდარულ პიროვნებასთან და მუდამ გვემახსოვრება ის კეთილგანწყობა და სიკეთე, რომელიც მან გამოიჩინა მისთვის შორეული ქვეყნის უცნობი ახალგაზრდა კოლეგების მიმართ.



**პროფ. ბრუნო ნეტლი**

პირველ რიგში, აღვნიშნავთ პროფ. ბრუნოს დიდ თანადგომას ეთნომუსიკოლოგიაში ყველა დროისა და ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის *The Study of Ethnomusicology: Thirty Three Discussions* უკანასკნელი, მესამე გამოცემის ქართულად თარგმნის საქმეში – სწორედ მისი შუამდგომლობის საფუძველზე ილინოისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაგვრთო ნება წიგნის შელავათიან ფასში თარგმნაზე, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, ქართველი ეთნომუსიკოლოგებისათვის გაგვეცნო

ეს უნიკალური ნაშრომი. ან როგორ შეიძლება არ დავაფასოთ მისი მეგობრული ჟესტი – სკაიპით ჩართვა 2014 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმში, რომლის მონაწილეობამ განსაკუთრებული მასშტაბი შესძინა თბილისურ ფორუმს.

ჩვენი ცენტრის ახალგაზრდა თანამშრომლებს – დოქტორანტებს ნინო რაზმაძესა და თეონა ლომსაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე ემახსოვრებათ შეხვედრები პროფ. ნეტლთან ამერიკაში მათი სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტების დროს, როცა დიდმა მეცნიერმა და სტუმართმოყვარე მასპინძელმა მათ ცოდნასთან ერთად თავისი ოჯახის სიტბოც გაუზიარა.

შეუფასებელია პროფ. ბრუნო ნეტლის ღვაწლი თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. მისი ნაწერებისთვის დამახასიათებელი ინოვაციური მიდგომები და თავისუფალი აზროვნება სამაგალითოდ დარჩება ეთნომუსიკოლოგიის ისტორიაში.

## ქართული სიმღერის დიდოსტატები ნელ-ნელა გვტოვებენ

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი მწუხარებას გამოხატავს ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატის, კახური სიმღერის ნამდვილი მოამაგის, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი მომღერლისა და ლოტბარის – **ანდრო სიმაშვილის** გარდაცვალების გამო. ანდრო პაპა, როგორც მას ყველა ეძახდა, იყო თელავის რაიონის სოფელ ართანას მკვიდრი. სწორედ სიმაშვილების ოჯახმა შემოინახა დღემდე განთქმული ართანელი მომღერლების – ყარალაშვილების სასიმღერო ტრადიცია. ანდრო სიმაშვილი აღმოჩნდა ძველი თაობის მომღე-

რალთა უკანასკნელი მოჰიკანი, რომლის გარდაცვალება ფოლკლორული საზოგადოებისთვის უდიდესი დანაკლისია, თუმცა, მის საქმეს ჰყავს ღირსეული გამგრძელებლები, რომლებიც, იმედია, დავიწყებას არასოდეს მისცემენ ანდრო პაპას დანატოვარს...




ანდრო სიმაშვილი

ანდრო სიმაშვილმა მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მშობლიური სიმღერების მოვლა-პატრონობას შეაღია. მან კახური სიმღერის მადლს მრავალი თაობა აზიარა. ვერ ნახავთ ქართული ხალხური სიმღერით დაინტერესებულ არათუ ქართველს, არამედ ვერცერთ უცხოელს, ვისაც ანდრო სიმაშვილის სახელი და გვარი არ გაუგონია! მიუხედავად ხანდაზმულობისა (იგი 96 წლის იყო), ანდრო პაპას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ახალგაზრდებთან ურთიერთობა, რომლებსაც უშურველად გადასცემდა თავის ცოდნასა და ათწლეულების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას. გულისტკივილთან ერთად, მადლიერებასა და სიყვარულს გამოხატავს ანდრო სიმაშვილის მისამართით ყველა, ვისაც კი ერთხელ მაინც ჰქონია მასთან ურთიერთობის ბედნიერება!

„კახური სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის“ 2013 წელს საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გა-



ლობა“ ანდრო სიმაშვილი დააჯილდოვა, როგორც ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე და მის შესახებ მონოგრაფიაც გამოსცა (ავტორი – მარინა კვიციანიძე), 2015 წელს კი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ანდრო სიმაშვილის საღამო, რომელზეც ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ცნობილ მომღერალსა და ლოტბარს „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა.



ანდრო სიმაშვილის მონოგრაფია

ანდრო სიმაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ბიულეტენის მომდევნო ნომერში მოგიტხრობთ.

**ბავშვთა ტრადიციული ანსამბლი**

**ანსამბლი „უნისონი“**

სულ რამდენიმე წელია, თბილისში მომღერალ ბავშვთა (ვაჟთა) ახალი ანსამბლი „უნისონი“ ჩამოყალიბდა, რომლის წევრებიც ქართულ ხალხურ სიმღერებს, საეკლესიო საგალობლებსა და ქალაქური ფოლკლორის ნიმუშებს სწავლობენ. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ „უნისონის“ ხელმძღვანელი, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი, ზურაბ ბაკურაძე მოგივითხრობს.



ზურაბ ბაკურაძე

**მ.ხ. – როდის და რატომ გაგიჩნდათ ბავშვთა ანსამბლის შექმნის იდეა?**

**ზ.ბ. –** ბავშვებთან პედაგოგიური ურთიერთობა დაახლოებით 1998 წლიდან დავიწყე. თავდაპირველად სხვადასხვა სკოლაში მიწევდა მათთან მუშაობა. 2007 წლიდან „ქართული ხმების“ საბავშვო სტუდიის ხელმძღვანელი გავხდი, რომელთან ერთადაც 2007-2009 წლებში საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღვადგინეთ გადაცემა „ქართული სიმღერის გაკვეთილები“. ამ ხნის მანძილზე ბავშვებთან მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე.

სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 2014 წელს გადავწყვიტე, საკუთარი საბავშვო ანსამბლი შემექმნა, რაც ჩემს ძმასთან, ასევე, ანსამბლ „ქართული ხმების“ მომღერალ – გივი ბაკურაძესთან ერთად განვახორციელე.

**მ.ხ. – საინტერესოა, რატომ დაარქვით მრავალხმიანი სიმღერის ანსამბლს „უნისონი“?**

**ზ.ბ. –** სახელზე ძალიან ბევრი ვიფიქრეთ. განვიხილავდით ბევრ ვარიანტს. საბოლოოდ შევჯერდით სახელზე, რომელიც მრავალხმიან ქართულ სიმღერას ბოლოს, ხშირ შემთხვევაში, ერთ ბგერაში აერთიანებს. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ სიტყვა „უნისონი“, ამ შემთხვევაში, გამოხატავს ანსამბლის წევრების ერთიანობასაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია საქმის წარმატებისთვის.

**მ.ხ. – რამდენი ბავშვი გყავთ ანსამბლში და რა ასაკის არიან?**

**ზ.ბ. –** „უნისონი“ იყოფა ორ ნაწილად – ძირითად და მოსამზადებელ ჯგუფებად. ამ ეტაპზე ძირითად ჯგუფში 45 ბავშვია, მოსამზადებელში – 20. ასაკს რაც შეეხება, მოსამზადებელ ჯგუფში 5-დან 10 წლამდე, ძირითადში კი – 8-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები გყავს.

**მ.ხ. – როგორ აისახება თაობათა ცვლა ანსამბლის შემადგენლობაზე?**

**ზ.ბ. –** თაობათა ცვლა საკმაოდ რთული პროცესია ყველა ანსამბლისთვის, თუმცა, ეს სირთულე თავს იჩენს ხოლმე მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში. ამიტომ, ყოველი ახალი სიმღერის შესწავლის დროს საგანგებოდ ვაფრთხილებთ შემომატებულ ბავშვებს, უსმინონ ამა თუ იმ სიმღერის ყველა ხმის შესწავლის პროცესს. ეს გვიადვილებს პრობლემის გადალახვას.

**მ.ხ. – რა სიხშირით იკრიბებით სარეპეტიციოდ და სად?**

**ზ.ბ. –** კვირაში 3 რეპეტიცია გვაქვს 155 საჯარო სკოლაში.

**მ.ხ. – როგორც ვიცი, „უნისონი“ ანსამბლ „ქართული ხმების“ ერთგვარი მემკვიდრეა. რას გვეტყვი ამის შესახებ?**

**ზ.ბ. –** ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ „უნისონი“ „ქართული ხმების“ მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელია. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენც უფროსი თაობის „ქართული ხმების“ მემკვიდრეები ვართ, რომლის მიერ დამკვიდრებულმა რეპერტუარმა და სიმღერის მანერამ წლებს გაუძლო და, ისეთივე პოპულარული და ახლობელია მსმენელისთვის, როგორც დასაწყისში იყო. ამის თქმა ჩვენი, ახალგაზრდა თაობის „ქართული ხმების“ გამოცდილებიდან, თამამად შემიძლია... ამიტომაც, ვაგრძელებთ იმავე სულისკვეთებით, მსგავსი სტილის რეპერტუარით და საშემსრულებლო მანერით.

**მ.ხ. – რას ანიჭებთ უპირატესობას რეპერტუარის შერჩევისას?**

**ზ.ბ. –** ჩვენი რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია. ბავშვებს ვასწავლით, როგორც ხალხურ სიმღერებს, ისე საეკლესიო საგალობლებს, ქალაქური ფოლკლორის ნიმუშებსა და ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს. ვცდილობთ, ხშირად განვახლოთ რეპერტუარი. ყოველ წელიწადს ვატარებთ სოლო კონცერტს და, ბუნებრივია, მსმენელს სიახლე უნდა შევთავაზოთ. მოსამზადებელ ჯგუფში შედარებით მარტივ სიმღერებს ვასწავლით, ძირითად ანსამბლში კი სიმღერებს ვარჩევთ პოლიფონიური სირთულის, პოპულარულობისა და სცენური ეფექტურობის გათვალისწინებით.

**მ.ხ. – როგორია ანსამბლის შემოქმედებითი აქტივობა?**

**ზ.ბ. –** ანსამბლი შემოქმედებითად საკმაოდ დატვირთულია. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ვატარებთ ერთგვარ საანგარიშო სოლო კონცერტს; ტრადიციულად ვმონაწილეობთ ისეთ ცნობილ ფესტივალებში, როგორებიცაა „ფოლკლორიადა“ და „მრავალჟამიერი“. ბავშვებისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის ღამე, როცა ანსამბლმა „უნისონი“ რუსთაველის გამზირიდან „მრავალჟამიერით“ მიულოცა სრულიად საქართველოს ახალი წლის დადგომა.

შარშან მონაწილეობა მივიღეთ „თბილისობის“ დღესასწაულშიც. აღსანიშნავია ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობა ჩეხეთში, აზერბაიჯანსა და იტალიაში, რაც მნიშვნელოვანი სასცენო გამოცდილება იყო ბავშვებისთვის. ჩაწერილი გვაქვს CD და DVD ალბომები, გადაღებული გვაქვს სარეკლამო კლიპი.



ანსამბლი „უნისონი“

**მ.ხ.** – რას გეგმავთ სამომავლოდ?

**ზ.ბ.** – ვემზადებით სასწავლო წლის ბოლოს სოლო კონცერტის ჩასატარებლად. ასევე, საბერძნეთში სამოგზაუროდ, სადაც მიწვეული ვართ „საქართველოს დღეებში“ მონაწილეობის მისაღებად. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ახალი აუდიოალბომის ჩაწერას; სასწავლო წლის ბოლოს კი ვაპირებთ კიდევ ერთი კლიპის გადაღებას.

**მ.ხ.** – მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით, წარმატებებს ვუსურვებ ანსამბლ „უნისონს“.

**ზ.ბ.** – დიდი მადლობა.

*ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა*

## ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

### ანსამბლი „საჩუქარი“ საფრანგეთიდან

„საჩუქარი“ გახლავთ საფრანგეთში მოღვაწე, ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი ვოკალური-ინსტრუმენტული კვარტეტი. სახელი ანსამბლმა იმ მოსაზრებით აირჩია, რომ ყველას აჩუქოს საკუთარი სიყვარული საქართველოს, ქართველი ხალხისა და მისი მრავალხმიანობისადმი. ანსამბლის წევრები 8 წელია ერთად მღერიან. „საჩუქარის“ რეპერტუარი მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ნიმუშებს: შრომის, საქორწილო, სუფრულ, სატრფიალო-სალაღობო, მგზავრულ სიმღერებს. ეს რეპერტუარი მდიდრდება და იხვეწება მათი ქართველი მეგობრის, სოსო კოპალეიშვილის რეგულარული დახმარებით, ქართული სიმღერების ოსტატების ჩანაწერების ხანგრძლივი მოსმენით. „საჩუქარი“ ამდიდრებს ა კაპელა სიმღერას ქართული ტრადიციული საკრავებით, როგორებიცაა: ჩონგური, ფანდური, ჭუნირი და დოლი.

ანსამბლის ამჟამინდელი წევრები არიან: ლელა ხუციშვილი, კოლომ ლეკავარდა, ერვე როლანი და ეტიენ ბეგუენი.



ანსამბლი „საჩუქარი“

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კოლომ ლეკა-ვარდამ, რომელსაც ბაბუა ქართველი ასირიელი ჰყავდა, გადაწყვიტა, მეტი რამ შეეტყო მისი წინაპრების შესახებ. კვლევამ იგი ქართულ პოლიფონიასთან მიიყვანა. 2005 წელს კოლომს მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო საფრანგეთში მოღვაწე ანსამბლ „მზე შინას“ მიერ მოწყობილ მასტერკლასში, რის შემდეგაც გადაწყვიტა, არაქართველებისგან შეექმნა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი ანსამბლი, რაც 2006 წელს ერვე როლანთან ერთად განახორციელა. ქალაქს, სადაც ანსამბლის წევრთა უმრავლესობა ცხოვრობდა, ანჟე ჰქვია, ამიტომ ანსამბლს სიმბოლური სახელი „ანგეორგიენ“ (ANGEORGIEN), ანუ „ანჟეს საქართველო“ დაარქვეს.



ანსამბლი „საჩუქარი“

2008 წელს კოლომმა და ერვემ საქართველოში იმოგზაურეს. მართალია, ეს მოგზაურობა ცნობილი ომის გამო ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ისლამ ფილფანთან შეხვედრითა და ბათუმის კონსერვატორიაში სტუმრობით მათ მდიდარი გამოცდილება მიიღეს.

2010 წელს კოლომმა და ერვემ მეორედ იმოგზაურეს საქართველოში. სწორედ ამ დროს გაიცნეს სოსო კოპალეიშვილი ბოლნისში, რომელიც მის მიერ დაარსებულ ანსამბლ „ორბელის“ პირველ სოლო კონცერტს მართავდა. მათ შეადგინეს სწავლების პროგრამა არაქართველებისგან შემდგარი ჯგუფისთვის (ANGEORGIEN).

2011 წელს სოსო კოპალეიშვილმა ერთკვირიანი მასტერკლასები ჩაატარა თბილისში ჩამოსული ჯგუფისთვის და არაერთი ქართული სიმღერა შეასწავლა მათ. მასტერკლასების დასასრულს, ფრანგულმა ანსამბლმა ერთობლივი კონცერტი გამართა ანსამბლ „სახიობასთან“.

2013 წელს ანსამბლმა სოსო ერთვანი ვორქშოპისა და მასტერკლასისთვის საფრანგეთში მიიწვია. სოსომ ანჟეს კონსერვატორიაში, ბერგსონის ლიცეუმში, ფრანგულ მუსიკალურ ჯგუფებთან ჩაატარა ლექციები და მასტერკლასები. მასტერკლასების ბოლოს გაიმართა კონფერენცია და კონცერტი ბერგსონის ლიცეუმის მუსიკის მასწავლებლის, ტიერი დემომის ორგანიზებით.

2014 წელს კოლომმა, ერვემ და კატიმ (კატრინ ფერიმ) გადაწყვიტეს „საჩუქრის“ შექმნა და გამგზავრება თბილისში, რათა სოსოსთან ერთად ემუშავათ ქართული სიმღერების ტრიოსთვის ადაპტირებაზე.

2015 წელს ხათუნა მანაგაძემ ანსამბლი „საჩუქარი“ ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვია. მათ ეს შესაძლებლობა გამოიყენეს რეპერტუარისა და საშემსრულებლო სტილის გამდიდრებისა და დახვეწისათვის. ამავე წელს ანსამბლს შემოუერთდა ეტიენ ბეგუენი. კატიას წასვლის შემდეგ კი - ლელა ხუციშვილი, რომელსაც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა ანსამბლის წევრებთან.

საფრანგეთში მრავალი კონცერტის შემდეგ, 2018 წელს „საჩუქარი“ მიიწვიეს ფოთში, შემდეგ – კიდევ ერთხელ – ბათუმის ფესტივალზე და ბოლოს – თბილისში, მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილში მონაწილეობის მისაღებად. პარალელურად, ანსამბლის მოღვაწეობას მიეძღვნა გიორგი უშიკიშვილის სატელევიზიო გადაცემაც რუსთავი 2-ზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ანსამბლმა „საჩუქარი“ გადაწყვიტა ხალხურ სიმღერებთან ერთად ქართული საეკლესიო საგა-

ლობლების შესწავლა და ფრანგული საზოგადოებისათვის დემონსტრირება.

ანსამბლის წევრების თქმით, ქართული სიმღერა თითოეული მათგანისთვის არის „ფერადოვანი ჰარმონიების პალიტრა, რომელიც სიმღერისა და ამ გასაოცარი მუსიკის ყველასთვის გაზიარების სურვილს აღძრავს“.

### ქართული სიმღერის მოამაგეები

## რემა შელეგია

შესანიშნავი მეგრული მომღერალი და ლოტბარი, რემა შელეგია ქართველ მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული სიმღერის აღორძინებასა და პროპაგანდას შეაღწია. სახელოვანი ძუკუ ლოლუას ნიჭიერმა მოსწავლემ მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ხალხური სიმღერის საშემსრულებლო ხელოვნება, აღადგინა და საზოგადოებას გააცნო მეგრული სიმღერის ბევრი მივიწყებული ნიმუში, არაერთი სიმღერის საკუთარი ვარიანტიც შექმნა და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ხალხური სიმღერის დიდოსტატთა პანთეონში.

რომანოზ (რემა) შელეგია 1883 წლის 7 ოქტომბერს დაიბადა სენაკის რიონის სოფელ ჯოლევეში. ხალხური სიმღერის სიყვარულს იგი მშობლიურ სოფელში ეზიარა. საათობით უსმენდა სიმღერა-გალობას და 8-10 წლის ასაკში სოფელში გაგონილი ყველა სიმღერისა და საგალობლის ყველა ხმა ზეპირად იცოდა. 12 წლის ასაკიდან რემა შელეგია მომღერალთა გუნდში მღეროდა და ეკლესიაში გალობდა. მას გალობა, სავარაუდოდ, დიმიტრი ჭალაგანიძისგან უსწავლია.



რემა შელეგია

1897 წელს რემას მოუსმენია მეგრული სიმღერის მამამთავრად აღიარებული, ძუკუ ლოლუას გუნდის გამოსვლა ქუთაისში და სწორედ მაშინ გადაუწყვეტია, ხალხური სიმღერების შეგროვება, შესრულება და სწავლება თავის პროფესიად გაეხადა. ამის შემდეგ სიმღერა რემასთვის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა.

1907 წელს რემა შელეგია ოჯახით სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად. ამის მიზეზი ძუკუ ლოლუასთან დაახლოების სურვილი იყო. „მსურდა მასთან მემუშავა, როგორც სიმღერების საუკეთესო მცოდნესთან. სანამ ძუკუს გავიცნობდი, შევადგინე 30 კაციანი გუნდი. სამი თვის მუშაობის შემდეგ გავმართე კონცერტი სოხუმის საზაფხულო პარკში. კონცერტს 2000-მდე კაცი დაესწრო... ძუკუს მოეწონა და თანმშრომლობა შემომთავაზა“ – ვკითხულობთ ავტობიოგრაფიაში. რემა ძუკუ ლოლუას გუნდში წამყვანი მომღერალი გახდა. მასთან ერთად მღეროდნენ შემდგომში ცნობილი ლოტბარები – კიწი გეგეჭკორი და კირილე პაჭკორია.

თანამედროვეთა შეფასებით, რემა შელეგია იყო ფილიგრანული ტექნიკის მქონე მომღერალი-სოლისტი, შეუდარებელი იმპროვიზატორი. მისი ტკბილი, ხავერდოვანი და უაღრესად მოქნილი ხმა, სცენური უბრალოება, ბუნებრივი არტისტიზმი და მსუბუქი იუმორი ყოველთვის ხიბლავდა მსმენელს. რემა შელეგია მეგრული ლირიკული სიმღერების შესრულებაში შეუდარებელი ყოფილა. ამასთან, მოსწავლეთა მონათხრობიდან ჩანს, რომ იგი ძალიან გულისხმიერი, თბილი ბუნების, გულდია და წრფელი ადამიანი ყოფილა.

საგულისხმოა, რომ რემა შელეგია არასოდეს ღალატობდა ქართული ხალხური სიმღერის შესრულების ტრადიციულ პრინციპებს. მის საკონცერტო პროგრამაში სიმღერები შესაბამისი ფერხულის, ცეკვის ან საკრავის თანხლებით ჟღერდა. ლოტბარი ცდილობდა მეგრული სიმღერის განუმეორებელი ხიბლის შენაჩუნებას, მისთვის დამახასიათებელი ლირიკული კოლორიტის წარმოჩენას.

რემა შელეგია ქართველ ლოტბართა შორის გამორჩეულად აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეა. მას რეკორდული რაოდენობის საგუნდო კოლექტივი ჰყავდა. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა სამეგრელოს, იმერეთისა და აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების გუნდებს, ასევე, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებულ გუნდს. ეს კოლექტივები წარმატებით გამოდიოდნენ ქართველი და უცხოელი მსმენელის წინაშე. ამგვარად, რემა შელეგიამ ქართული ხალხური სიმღერა საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა და, ამ მხრივ, ლადო აღნიაშვილისა და კოტე ფოცხვერაშვილის საქმის გამგრძელებლად მოგვევლინა.

რემა შელეგიამ არაერთი ნიჭიერი მომღერალი და ლოტბარი აღზარდა. მასთან დახლოვდნენ: ნოკო ხურცია, ვალერიან სვანიძე, ნიკოლოზ კაკაჩია, თამარ კაკაჩია, პორფილე გაბელია, ბექტორ აბშილავა, ლენა ხორავა, ქსენია ხოფერია, ძაბუ თავდგირიძე, გი-

ორგი გელანტია, ლონგი მიმინოშვილი, კოსტა, დიმიტრი, ფოტინე და პისტი მამფორიები, მაქსიმე გოგია, ლეონტი ჩიხლაძე, ვაჟა აბაკელია და სხვები. შესანიშნავად მღეროდნენ რემას შვილები – ლუბა, ვერა და შალვა.

შემორჩენილია რემა შელეგიას ხელნაწერი მისი სასიმღერო რეპერტუარით, რომელიც 500-მდე სიმღერას მოიცავს! მათ შორისაა მეგრული, აფხაზური, გურული, იმერული, რაჭული, სვანური, ქართლ-კახური სიმღერები, ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები, საგალობლები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

რემა შელეგიას მიერ შესრულებული სიმღერები დაცულია რადიოფონდში, ჩაწერილია გრამფირფიტებზე, გამოქვეყნებულია სანოტო კრებულებში. მაღალმხატვრული ღირსებებით ისინი დღესაც აცვიფრებენ მსმენელს. მათი შესწავლა ეხმარება მკვლევრებს მეგრული ფოლკლორის ჟანრული თავისებურებების, კილო-ინტონაციური, ჰარმონიული კანონზომიერებების, საშემსრულებლო ტრადიციების უკეთ გაგებაში.

თავისი საშემსრულებლო და პედაგოგიური საქმიანობით რემა შელეგიამ უდიდესი როლი შეასრულა სამეგრელოს კულტურულ ცხოვრებაში.

1948 წელს, 65 წლის იუბილეზე რემა შელეგიას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს.

რემა შელეგია 1955 წელს, 72 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

**ნინო კალანდაძე**  
*ილიას სახ. უნივერსიტეტის*  
*ასოციირებული პროფესორი*  
**ლელა ურუშაძე**  
*ეთნომუსიკოლოგი, ლოტბარი*

## კომპლექსური ექსპედიცია აჭარაში

„ინეგოლსა (თურქეთი) და აჭარაში მცხოვრები აჭარლების ტრადიციული ცეკვისა და საცეკვაო დასაკრავების შედარებითი შესწავლა“ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „შენი ფოკლორული იდეა“ გამარჯვებული პროექტია. ექსპედიცია განხორციელდა – 2019 წლის 27 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე ზემო აჭარაში – ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ – ფოლკლორის ცენტრი და საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა“; პროექტის ხელმძღვანელი – ეთნომუსიკოლოგი ნინო რაზმაძე; ექსპედიციის წევრები: ქორეოლოგები – უჩა დვალიშვილი და ალექო გელაშვილი; მოცეკვავეები და ინსტრუმენტებზე შემსრულებლები – ნურულლაჰ ილდირიმი, ქადირ ქანდემირი და ჰასან გენჩი; თურქი ქორეოლოგი – იდრის ქუჩუქი.

ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა აჭარისა და ინეგოლის ტრადიციულ აჭარულ ცეკვებსა და საცეკვაო დასაკრავებში მსგავსი და განსხვავებული ელემენტების დასაფიქსირებლად კვლევის განხორციელება, სადაც გამოვლინდებოდა, თუ რა ტრადიციული ელემენტები შენარჩუნდა თურქეთში გადასახლებული აჭარლების ყოფაში და – რა ფორმით.

ინეგოლში მცხოვრები ჩვენებურების ძირითადი ნაწილი სახალხო შეკრებებსა და დღესასწაულებზე ასრულებს შემდეგ ტრადიციულ ცეკვებს: „ყოლსამა“, „ყოლსამას გადაქცეული“ – „ცაკვაი“, „ხორუმი“, „ხორუმის გადაქცეული“ – „თიკვა-თიკვა“, ქალთა ცეკვა – „ნარდანინა“, აფხაზური ცეკვა – „აბაზურაი“ – „აფსუა ქოშარა“, „ყარაბალი“ – „სამშალახო“ („აბაზურაი“ და „ყარაბალი“ არ არის ქართული წარმომავლობის ცეკვები).



ექსპედიციის ფრაგმენტი

ექსპედიციის მუშაობა ასეთი გეგმით წარიმართა: 1. შეხვედრა შუახევის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „ფესვებთან“; 2. დასწრება გომის მთაზე გამართულ სახალხო დღესასწაულზე – „ჯვარმინდორობა“; 3. შეხვედრა ხულოს მუნიციპალიტეტის ანსამბლ „ბერმუხასთან“; 4. შეხვედრა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხიხადირის ანსამბლთან; 5. ინტერვიუს ჩაწერა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. მერისში ნურულლაჰ ილდირიმთან; 6. შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების, ცხმორისისა და დანდალოს მოცეკვავეებთან; 7. მასალების მოწესრიგება.

კვლევამ შემდეგი ძირითადი დასკვნები გამოავლინა: 1. ინეგოლში მცხოვრები აჭარლების ცეკვები ისტორიული ფაქტორიდან გამომდინარე, ბუნებრივია, განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელ ცეკვებთან; 2. მათ ცეკვებში ვხვდებით ასევე ზოგადად კავკასიის ხალხებისთვის დამახასიათებელ საცეკვაო მოძრაობებს. იკვეთება მსგავსებები სომხურ და ქართულ ცეკვებთან;

3. ცეკვა „ხორუმის“ მოძრაობები თითქმის ზემო აჭარული ხორუმების მოძრაობათა ანალოგიურია. განსხვავება არის მხოლოდ შესრულების წესში და მოძრაობების თანმიმდევრობაში; 4. „ხორუმის გადაქცეულის“ – „თიკვა-თიკვა“ – მოძრაობები მსგავსებას ამჟღავნებს, ნაღვარევის, ცხმორისის და დანდალოს „გადახვეული ხორუმის“ მოძრაობებსა და ასევე ხიხადირული „ოჰოი ნანოს“-თვის დამახასიათებელ რიგ მოძრაობებთან; 5. ორიგინალურია „ხორუმის გადაქცეულში“ მეხორუმეთა „წრის ცენტრისკენ“ შეხტომა და ცალ ფეხზე ხტომები (არ გხვდება არსად); 6. „ყოლსამას“ მოძრაობები მსგავსებას ამჟღავნებს „განდაგანას“ მოძრაობებთან. განსხვავება შეიმჩნევა მოძრაობათა შესრულების ხასიათებსა და თავისებურებებში. აქ ვხვდებით ბუქნების და ჩაჯდომების ვარიაციებს, რაც ასევე გამოარჩევს ცეკვა „განდაგანასგან“; 7. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ ცეკვა „ყოლსამა“ სრულდება წყვილში, მამაკაცების მიერ, რაც არ არის დამახასიათებელი აჭარული ცეკვებისთვის; 8. ორიგინალურია „ყოლსამას გადაქცეული“ – „ცაკვაი“. ეს დეტალიც არ ახასიათებს აჭარულ „ცეკვებს“. თუმცა, აჭარული მოცეკვავეები ამბობენ, რომ ეს არის „ლეკური“ და ამას ცალკე ცეკვავენ.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ინეგოლში მცხოვრები ქართველების დამოკიდებულება თავიანთ საცეკვაო კულტურასთან. ისინი დიდი რუდუნებით უფრთხილდებიან ყველა დეტალს და ამბობენ, რომ სწორედ ასეთი ფორმით სრულდებოდა 150 წლის წინ ეს ცეკვები და უცვლელად აგრძელებენ ამ ტრადიციებს.

**ალეკო გელაშვილი**  
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი*  
*ქორეოგრაფი, ქორეოლოგი*

**უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ**

**წინაპრების ხმები – ინგლისელი  
ქალბატონის სიმღერით მოგზაურობა  
საქართველოში**

*გთავაზობთ ინტერვიუს ინგლისელ მუსიკოს სიუზან თომპსონთან, რომელიც გახლავთ მეცნიერებათა ბაკალავრი, ფონდების მოძიების ინსტიტუტის თანამშრომელი, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელ ბრიტანულ ანსამბლ „მასპინძლის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელი, საქართველოსა და ქართული კულტურის დიდი მოყვარული და გულშემატკივარი.*

**მ.კ. – თუ შეიძლება მოკლედ მოგვიყვით თქვენზე და თქვენი ინტერესების შესახებ.**

**ს.თ. –** მეუღლესთან, ფილთან ერთად ვცხოვრობ პატარა ინგლისურ სოფელში. ვარ შტატგარეშე კონსულტანტი. ვეძიებ დაფინანსებას საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახი. მე და მამაჩემს (85) გვიყვარს სიარული გონებასუსტი ადამიანების ჯგუფში სახელწოდებით „სიმღერა ტვინისთვის“. ყოველთვის მიყვარდა სიმღერა, სადაც კი მიცხოვრია ყველგან ვმღეროდი იქაურ გუნდში. თინეიჯერულ ასაკში ძალიან მაწუხებდა, რომ ჩემს სოფელში არავინ დადიოდა კარდაკარ საშობაო ჰიმნების სიმღერით. დეკემბრის ერთ ბნელ ღამეს ჩემს მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად დავიწყე საშობაო სიმღერების შესრულება და ფულის შეგროვება ადგილობრივი საქველმოქმედო მიზნებისთვის.

**მ.კ. – როგორ მოხდა თქვენი შეხვედრა ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან და როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?**

**ს.თ. –** 1990-იან წლებში როდესაც ჩემი ქალიშვილები ძალიან პატარები იყვნენ, დედაჩემთან, ჩემს დასთან და დეიდაშ-



ვილთან ერთად ვმღეროდი მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების ა კაპელა გუნდში. ჩვენ სმენით ვსწავლობდით მსოფლიო მუსიკის ნიმუშებს მათ შორის აფრიკულ, პოლინეზიურ და სხვა ქვეყნების სიმღერებს.



ბათუმის 2019 წლის ფესტივალზე

ჩვენს პედაგოგს, სალი ბრაუნს უყვარდა ხმების ჰარმონიული შეწყობა და იშვიათად გვამღერებდა უნისონში. სალის ურთიერთობა ჰქონდა ისეთი გუნდების ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ედიშერ გარაყანიძესთან და სოსო ჟორდანიასთან უმუშავიათ. სალიმ შეისწავლა „ახალი“ სიმღერები და ჩვენც გვასწავლა – „ბატონებო“, „აჰო ჩელა“ და „შენ ხარ ვენახი“. ამ სამმა სიმღერამ მომწუსხა და გამიღვივა ინტერესი ქართული ხალხური სიმღერების მიმართ, რაც არ მიგრძენია არცერთი სხვა ქვეყნის მუსიკის მიმართ. სანამ შევძლებდი საქართველოში გამგზავრებას, გამოვიყენე ყველა შესაძლებლობა, მესწავლა ჩვენთან სტუმრად ჩამოსული პედაგოგებისგან. ესენი იყვნენ: ედიშერ გარაყანიძე, ანზორ ერქომაიშვილი, ნატო ზუმბაძე. ასე რომ, ჩემი პირველი შეხვედრა ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან იყო მოსმენა და გამეორება, მოსმენა და გამეორება, მოსმენა და გამეორება.

**მ.კ.** – როგორ ფიქრობთ რა იზიდავს უცხოელებს ქართულ ფოლკლორში?

**ს.თ.** – რთულია იმის თქმა, თუ რატომ ინტერესდებიან არაქართველები ქართული

ხალხური მუსიკით. ეს ისეთი რამეა, რაც ადამიანებს ან უყვართ, ან სძულთ. ვისაც უყვარს, ნამდვილად უყვარს, თვლიან რომ მათში რაღაც სათუთს ეხება. არსებობს რაღაც, რაც განსაკუთრებულად ეხება ქართული ტრადიციული მუსიკის სამხმიან შესრულებას. ქართული ტრადიციული მუსიკის ყველა სტილის შესრულება ღია და გულწრფელია, ამ ღიაობის გართიანება სხვა მომღერლების ვიბრაციებთან ქმნის რაღაც არამატერიალურს.



ანსამბლ „მასპინძლის“ რეპეტიციის შემდეგ

**მ.კ.** – თუ შეხვედრიხართ საინტერესო ქართველ მუსიკოსებს ქალაქურ და სოფლურ გარემოში? როგორ აღწერდით ამ გამოცდილებას?

**ს.თ.** – 2004 წელს ანსამბლ „მასპინძელთან“ ერთად მონაწილეობა მივიღე ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმში. გამიმართლა, რომ ანსამბლთან ერთად საქართველოში ვიმოგზაურე და ბევრი შესანიშნავი მუსიკოსი გავიცანი. 2006 წელს ჩემს ქალიშვილებთან, 15 და 12 წლის როუანთან და ჰეიზელთან ერთად მქონდა მხიარული მოგზაურობა საქართველოში. თბილისში გიგი გარაყანიძისგან და „მთიებისგან“ შევისწავლეთ „ვოისა“ სიმღერითა და ცეკვით. წინანდალში ლევან აბაშიძემ კა-

ხური ორნამენტების სირთულეებს გვაზი- არა. მადლობელი ვარ მაიკლ ბლუმისა და მისი მეუღლის ელისო წიკლაურის, მათ მი- ერ მოწყობილი ექსკურსიებისთვის, რომელ- თა წყალობით სილნაღში გავიცანი „ზედაში“ და შევიტყვე იმ ყვავილებისა და მცე- ნარეების შესახებ, რომლებიც მხოლოდ საქა- რთველოში იზრდება, მაგალითად, ომბალო.

მადლობას ვუხედი თამთა თურმანი- ძესა და მალხაზ ერქვანიძეს, რომლებმაც გვიმასპინძლეს ბუკისციხეში. დღემდე მახ- სოვს თუ როგორ მალვიძებდა ინდაურის ხმა ყოველ დილით და როგორ გვასწავლიდა მალხაზი სიმღერებს. არაჩვეულებრივი სიმ- ღერა „აგიდელის“ სწავლა ისეთ ადგილზე მოგვიხდა, საიდანაც ვხედავდით ხეზე შე- მოხვეულ ვაზს და შეგვეძლო, წარმოგვე- დგინა, როგორ კრეფდნენ და აგროვებდნენ ყურძენს კონუსისებურ გიდელში. ნამდვილი საოცრება იყო გურული ლოტბარის სიმღერა და ცეკვები საღამოს სუფრასთან. ამას წინათ კიდევ ერთხელ ვიმოგზაურე საქართველოში ჩემს ქალიშვილებთან ერთად – ამჯერად ჩვენი მასპინძელი იყო ნინო ნანეიშვილი. არასდროს დამავიწყდება შეხვედრა კოლ- ხურ ტრიოსთან ბელა ქამადაძის, დარეჯან ფაჩულიას და ეკა კოლუას შემადგენლობით სენაკის სამხატვრო გალერაში. (არ ვიცი, ჰეიზელმა მაპატია თუ არა, რომ მივაჩეჩე ჩონგური და ტრიოს წინაშე ვთხოვე დაკ- ვრა). ნინოს წყალობით გავიცანი მომღერ- ლები რაჭასა და სვანეთში. სასიამოვნო გა- მოცდილება იყო ჩემს მიერ რაჭული სუფ- რულის შესრულება ამბროლაურში როსტომ გოგოლაძისთვის, რომელიც ჩემს სიმღერას შემოუერთდა ნამდვილი რაჭული სტილით. გლოლაში განცვიფრებული ვუყურებდი მწვანე მოლზე, როგორ დაობდნენ ფერხუ- ლის ილეების შესახებ ახალგაზრდა და ხანდაზმული შემსრულებლები – ამან „მასპინძლის“ რეპეტიციები გამახსენა.

შთამბეჭდავი იყო ლენჯერში ნანახი ეგზემპლარი წიგნისა „99 ქართული სიმ- ღერა“ სამადლობელი წარწერით ფილფანე- ბის მიმართ მათ მიერ ამ გამოცემაში შე- ტანილი წვლილისთვის.

**მ.კ. – რას იტყოდით ქართული ეთნომუ- სიკოლოგიური გარემოს და ღონისძიებების შესახებ რომლებშიც მონაწილეობა მიგი- ღიათ?**

**ს.თ. –** ეთნომუსიკოლოგიის კვლევა ძალიან შორს არის ჩემი საუნივერსიტეტო განათლე- ბისგან – გეოგრაფია და გეოლოგია. თუმცა, როდესაც ვუსმენ ნანა მუჟავანაძისა და ფრანკ შერბაუმის შრომის პრეზენტაციას სვანი მომ- ღერლების ჩაწერის განსხვავებულ პერსპექ- ტივაზე, ვფიქრობ, რომ ეს საკითხები გაცი- ლებით ახლობელია, ვიდრე მგონია. თბი- ლისის ტრადიციული მრავალხმიანობის საე- რთაშორისო სიმპოზიუმსა და ბათუმის გიგი გარაყანიძის სახელობის ხალხური და საეკლესიო მუსიკის საერთაშორისო ფეს- ტივალში მონაწილეობამ გამიღვივა პატივი- სცემა ნიჭიერი ეთნომუსიკოლოგების ღრმა ცოდნის და მრავალწლიანი გამოცდილების მიმართ, როგორც საქართველოში, ისე მსოფ- ლიოს სხვა ქვეყნებში.

**მ.კ. – მოგვიყევით თქვენი მომავალი გეგმების შესახებ.**

**ს.თ. –** ამჟამად ვმონაწილეობ ქართულ- ბრიტანულ პროექტში „წინაპართა ხმები“. ეს თეატრალური პროექტი მოგვითხრობს, თუ როგორ შემოვიდა ქართული ხალხური სიმღერები ბრიტანეთში – არა მხოლოდ „რუსთავის“ კონცერტებით, არამედ უბრალო ხალხის მიერ ნასწავლით და გადმოცემუ- ლით.

მაგდა კველიშვილთან – „ამერ-იმერ- ის“ ხელმძღვანელთან და ჰოლი ტაილორ ზუნცთან – როუზ ბრუფორდის თეატრალუ- რი კოლეჯის კურსდამთავრებულთან, ამჟა- მად „მასპინძლის“ წევრთან ერთად, მო- გითხრობთ გარაყანიძეების ოჯახის შესახებ.

ჩვენი მოკლე – ათწუთიანი წარმოდგენა ლონდონში მაყურებელმა კარგად მიიღო. პროექტი ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა, ჩვენ ვეძებთ დაფინანსებას კვლევისა და განვითარებისთვის. ძალიან ამაღელვებელია ბრიტანელებისგან იმის მოსმენა, რომ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა როდესაც დაიწყო ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა.

უფრო მეტი ინფორმაციისთვის და ჩვენთან დასაკავშირებლად ეწვიეთ ბმულს [voicesofancestors@gmail.com](mailto:voicesofancestors@gmail.com) ან თვალყური ადევნეთ ჩვენ ფეისბუქ გვერდს – წინაპართა ხმები.

**მ.კ. – დიდი მადლობა, წარმატებებს გისურვებთ.**

**ს.თ. – მადლობა თქვენ!**

*ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა*

*ეთნოგრაფიული წერილები*

## **შრომის სიმღერები გურიაში (ნაწილი II) ხელხვავი**

ხელხვავი ბარაქასა და სიუხვეს ნიშნავს. ქართლ-კახეთში კალოზე მომუშავეს გამარჯვების ნაცვლად ბარაქას ეტყვიან – ამავე მნიშვნელობით გურიაში სიმინდის ამღებს (სიმინდის მტეხავს, კალოზე მრჩეველს და სასიმინდეში შემნახველს) კაი ხვაიო – უსურვებენ და ამით სწამთ, რომ ჭირნახულს ბარაქა-ხვავი მოემატება. ხელხვავიც ამ მუშაობის შესაფერისი სიმღერაა. გურული ქართლელებით სიმინდს ტაროთი ღეროზე კი არ ჭრის, არამედ ტაროებს ცალკე ამტვრევს – ტეხს; ნალიის (სასიმინდის) მახლობლად (ან სხვა მოხერხებულ ადგილას) კალოდ დგამს. სიმინდის ტაროებს ყრიან მოზრდილხელიან კალათებში. ზურგზე სახვავო გოდორმოკიდებული „მომხვავებელი“ ვაჟი ჩამოივლის, უვსებენ გოდორს და იმასაც

მიაქვს კალოზე და ახვავებს. ჭირნახულის აღების დროს სიტყვა „ხვავს“ გურული გამუდმებით ხმარობს: კალათს, გოდორს უბრალოდ არ იტყვის, არამედ დაუმატებს: სახვავო კალათი, სახვავო გოდორი, მომხვავებელი და სხვა.



**აპოლონ წულაძე**

სადამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, მთვარის, ან ჭრაქის სინათლეზე გურული გლეხი სიმინდს არჩევს – ტაროებს აცლის „ქურჩელას“, რასაც გურიაში „ქურჩვანას“ ეძახიან. როგორც სახალისო იყო სიმინდის თესვა და ბარვა, ისე მხიარულობაში უნდა გურულს, გაარჩიოს სიმინდი. როცა ჭირნახული მოწეულია, მას მეტი საბაბი აქვს, იმღეროს და მოილხინოს, სიმინდი კოლექტიურად გაარჩიოს, ბუნების წიაღში კოლექტიურად ივახშმოს, იმღეროს, ისიამოვნოს და მეზობლებსაც ასიამოვნოს. სიმინდის რჩევა შეხმატკბილებაა შრომისა და სიამოვნებისა. ამ საქმეს შინაურებიც შეიძლება მოერიონ, ერთ ღამეში თუ ვერა, მეორე ღამესაც იმუშავენ, მაგრამ გურულისთვის ეს მოსაწყენია. იგი ჩქარია, სულსწრაფი, თან კიდევ კალო ღია ცის ქვეშაა, გაავდრების ეშინია. ამას ყველაფერს ანგარიშს უწევს და ამიტომ იწვევს ნადს. მუშაობასთან ერთად ის

ემებს სახალისოს, ცდილობს, გაერთოს, კიდევ იმღეროს, იცინოს, იარშიყოს, ილხინოს. სიმინდის რჩევის ნადი გურულისთვის, ამავე დროს, თავის გამოჩენის მიზნით იყო. დიდი კალო, კარგი მასპინძლობა და განუწყვეტელი სიმღერა-ოხუნჯობა, მისთვის სატრაბახო გახლდათ.

სიმინდის სარჩევი ნადი შერჩეული იყო: ქალი და კაცი, ქმრიანი და გასათხოვარი, მოხუცი და ახალგაზრდა; სიმინდის რჩევა ყველას შეეძლო და ნადშიაც ასეთი თაიგული იყრიდა თავს, ოღონდ კი ხალისით ემუშავა, მუშაობის დროს ემღერა, ეოხუნჯა, ასახსნელი გამოცანა ან კარგი ზღაპარი ეთქვა, ჩქარა გამოსათქმელი სულმოუთქმელად წამოესროლა, ნაცნობ-მეგობრებისთვის (იქ მყოფი იქნებოდა, თუ გარეშე) დაეცინა, გაეკილა, გამოეჯავრებინა, მარილიანი ანეკდოტი ეთქვა... ერთი სიტყვით, სიმინდის რჩევა 4-6 საათიც რომ გაგრძელებულიყო, დრო ისე უნდა გასულიყო, „სიცილ-კარკაცი“ არ შეწყვეტილიყო.

თუ დიდი კალო იყო და ნადს მოწყენა დაეტყობოდა (მთქნარებას დაიწყებდნენ), მასპინძელი საქმის მორჩენას არ დაგიდევდა – იტყოდა: კარგი, გეყოფათ, თქვენი მარჯვენა დეილოცა, ერთ კალო სიმინდს კი არ გადავყოფი, ახლა რაცხა სიღარიბის ვახშამია, იგი ვჭამოთ და მერე მოვისვენოთ – ხვალაც ამთვის არისო.

ხელხვავე (ხელის ბარაქა) სიმინდის რჩევის სიმღერა იყო. როგორც ნადურს თოხს აყოლებენ, შეუწყობენ, ისე – ხელხვავს ხელეზი უნდა აყოლოდა – გარჩეული სიმინდის ტარობს სიმღერის ტაქტის მიხედვით ისროდნენ მეორე მხარეს. ყველა ცდილობდა, მუშაობა სიმღერისთვის შეეწყო, შეეხამებინა, ჰარმონია, რიტმულობა არ დაერღვია. ხელხვავე რჩევის მთავარი ღერძი გახლდათ. როგორც ნადური, ისე ხელხვავე შრომას აადვილებს, ახალისებს და, გურულად რომ ვთქვათ, ახვავრიელებს.

გურიაში ბევრი ქალი იყო მომღერალი და მომღებნი (მგალობელიც), მაგრამ იმის მა-

გალითს ვერავინ იტყვის, რომ ქალს ნადური ემღეროს, სამაგიეროდ, ხელხვავის კარგი მომღერალი ქალები, როგორც გათხოვილი, ისე – გაუთხოვარი, ბევრი იყო. ხელხვავე ორპირული სიმღერაა და ხშირად ვაჟებსა და ქალებს შორის შეჯიბრება იმართებოდა: ერთ პირს ვაჟები ამბობდნენ, მეორეს – ქალები.

ხელხვავე იყო მოკლე, გრძელი და სუფერის. როგორც ყანური, ხელხვავეც, არსებითად, ერთნაირი იყო, მაგრამ მაინც იყო და დღესაც არის კუთხური ხელხვავე – დასავლეთ გურიის (გურიანთულაი), შუა გურიის, აღმოსავლეთ გურიისა და ქობულეთური.

ჭირნახულის მფარველად წმინდა გრიგოლი სწამდათ და ხელხვავეშიც არ ივიწყებდნენ: „წმინდა გრიგოლ მობრძანდება, ჩვენს კალოზე დაბრძანდება, ხვავს დატიებს, წაბრძანდება“... არც ანგელოზებს ივიწყებდნენ: „მიქელამ და გაბრიელამ კალო გაგვიხვავრიელა“...

სიმინდის რჩევის დროს ხელხვავე ბევრჯერ ითქმებოდა, ამიტომ მრავალფეროვნებისათვის სხვადასხვა შინაარსის ლექსებს ჩაურთავდნენ, იუმორისტული ელფერით, რომლითაც გურიის ამათუიმ სოფელს ახასიათებდნენ.

როცა გურიაში წერა-კითხვა გავრცელდა, როგორც ხელხვავეში, ისე სხვა სიმღერებში წიგნიდან ნასწავლ ლექსებს იყენებდნენ. მომღერლები ცდილობდნენ, ახალ-ახალი ლექსები ემღერად და ერთი და იგივე ლექსი არ ეხმარათ.

სიმინდის რჩევის დროს იცოდნენ სანამდღეოს დადება, ვინ უფრო სწრაფად გაავსებდა თავის გოდორს, ისე, რომ სიმღერა, „სიცილ-ტკარცალი“ და ოხუნჯობა-სიამოვნება-შექცევა არ შეეწყვიტა. სამუშაოს დამთავრებისას მასპინძელს ყველა მრჩეველი ეტყოდა: „რავარცაგი სიმინდი სიცილ-ტკარცალში და სიამოვნებაში გავარჩიეთ, ღმერთმა ისე შეგაჭამოსო“.

ნადს იქვე მართმევდნენ ვახშამს; სუფრაზე იყო მოლხენა-სიმღერა, ქალ-ვაჟის ცეკვა, ზოგჯერ – თოფის სროლაც.

როგორც მუშაობის დროს, ისე, ნავახშმევს, ნადს მართმევდნენ შემწვარ ან მოხაშულ ჭყინტ სიმინდს. ამის შემდეგ კი სიმღერითა და სიამტკბილობით დაიშლებოდნენ.

სიმინდის რჩევას სიამოვნებით ესწრებოდნენ მემამულეები და თავად-აზნაურებიც, რადგან ეს მუშაობა იოლიც იყო და სასიამოვნოც. გარდა ამისა, „წლის მოსავლის“ (რაც წელიწადში ერთხელ მოდის) ხელის შეხება ყველას უხაროდა.

*მასალა აღებულია აპოლონ წულაძის წიგნიდან „ეთნოგრაფიული გურია“ (თბილისი. „საბჭოთა საქართველო“, 1971)*

*ქართულ-უცხოური ოჯახები ქართული ტრადიციების სადარაჯოზე*

### **ჯონ ანანდა გრემისა და ეკატერინე დიასამიძის ოჯახი**

*ეკატერინე დიასამიძე და ჯონ გრემი ქართველი და ამერიკელი ეთნომუსიკოლოგები, ერთმანეთთან ქართულმა ტრადიციულმა გალობამ დააკავშირა. მათ 2011 წელს იქორწინეს და ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.*

**ჯონ გრემი:** მე და ეკატერინემ ერთმანეთი ქართული ტრადიციული გალობის სფერომ გაგვაცნო. ისე გამოვიდა, რომ როდესაც მე პირველად საქართველოში ჩამოვედი, 2003 წელს, სწორედ იმავე წლის შემოდგომაზე ეკატერინე სანქტ-პეტერბურგის კონსერვატორიაში გაემგზავრა სასწავლებლად. ერთმანეთის შესახებ სულ გვესმოდა, მაგრამ პირადად ოდნავ მოგვიანებით შევხვდით.

ერთი და იმავე სფეროსადმი არსებულმა ინტერესმა ჩვენი გაცნობა-დაახლოება მნიშ-

ვნელოვანწილად განაპირობა. ხშირად გვეუბნებიან, რომ ვგავართ და ვფიქრობ, ამაში იმ ენერგიას გულისხმობენ, რომელიც ერთმანეთის მსგავსი გვაქვს, რაც ჩვენთვისაც საინტერესოა, რადგან სხვადასხვა კონტინენტზე დაბადებულ ადამიანებს უამრავი რამ აღმოგვაჩნდა მსგავსი და საერთო, მათ შორის მუსიკის, განსაკუთრებით კი – ტრადიციული მუსიკის სიყვარული. ეკატერინეს გაცნობისთანავე, აღმოვაჩინე, რომ ჩვენი სტატიები, კონსერვატორიის ახალ სამუსიკისმცოდნეო შრომათა კრებულში გვერდიგვერდ იყო გამოქვეყნებული.



**ჯონ ანანდა გრემისა და ეკატერინე დიასამიძის ოჯახი**

ორივე ჩვენგანს სამეცნიერო ხარისხი (PhD) მუსიკალურ მეცნიერებებში გვაქვს მიღებული. მე – მუსიკისმცოდნეობაში, ეკატერინეს – მუსიკის ანთროპოლოგიაში. ეკატერინე წლების მანძილზე მუშაობდა კლასიკური მუსიკის რადიო „მუზა“-ში, როგორც პროგრამების ხელმძღვანელი და რადიოწამყვანი; შემდეგ საცხოვრებლად პრინსტონში გადავედით, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო მუსიკალური და ზოგადკულტურული გამოცდილება შევიძინეთ. საქართველოში დაბრუნებამდე, იელის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის ინსტიტუტში ვასწავლიდი მაგისტრანტებს და დოქტორანტებს, რომლებსაც დასავლურთან ერთად, აღმოსავლეთქრისტიანული სამგალობლო ტრადიციების უკეთ გაცნობა სურდათ.

აშშ-ში ყოფნისას ვმღეროდით ისეთ გუნდებში, როგორებიც არის *ჰენდელის საზოგადოება* და *იელის კამერატა*.

პერიოდულად ორივე ვმუშაობთ სხვადასხვა ბეჭდვით თუ აუდიო გამოცემაზე, როგორც საქართველოში, ისე აშშ-ში. ხშირად ვმონაწილეობთ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. ზაფხულობით მაქვს „მონასტრის ტური“, რომლის ფარგლებში ძველი ქართული ქრისტიანული კულტურით დაინტერესებულ ადამიანებთან, მათ შორის, სხვა ეთნიკური წარმომავლობის მართლმადიდებლებთან ერთად საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შემოვივლით ხოლმე. ტრადიციული სიმღერა-გალობა არის ის, რის გარეშე ყოფნა წარმოუდგენლად მიმაჩნია. უკვე წლებია მანქანაშიც ყოველთვის ქართულ ხალხურ მუსიკასა და საგალობლებს ვუსმენ. საზღვარგარეთ ვატარებთ ქართული სიმღერა-გალობის მასტერკლასებს, რომელთა ორგანიზატორები, ხშირად, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები არიან.

ბუნებრივია, ჩვენს შვილებსაც გამუდმებით ესმით ქართული ტრადიციული მუსიკა, ამიტომ, 7 წლის ელისაბედი და 3 წლის სებასტიანე ადრეული ასაკიდან ღიღინებენ, მღერიან, საბავშვო მუსიკალური ინსტრუმენტებით ერთობიან. როდესაც ტამარში ერთად ვართ, ელისაბედი გვთხოვს, რომ სამ ხმაში ვიგალობოთ. 5 წლის ასაკიდან პირველი ხმის გამართულად მღერა დაიწყო და როდესაც სამ ხმაში ვგალობთ, ეს მასაც ძალიან ახარებს და ჩვენც. ასეთივე თხოვნით მოგვმართა კვიპროსზეც, როდესაც ერთ-ერთ უძველეს მართლმადიდებლურ მონასტერს ვსტუმრობდით. იქ მომსახურმე ბერმაც ნება დაგვართო და ელისაბედთან ერთად ვიგალობეთ.

მღერიან ყველაფერს, რაც ესმით. ელისაბედი ბევრ სიმღერას სწავლობს, როგორც სახლში – ჩვენგან, ისე სკოლაში, მუსიკის პედაგოგებისგან. ჩვენი რეპერტუარი საკმაოდ

მრავალფეროვანია. ის მოიცავს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ჰანგებს.



ჯონ გრემი ანსამბლ „ალსავალთან“ ერთად

როდესაც საზღვარგარეთ ვცხოვრობთ, შობა-ახალი წლის პერიოდში, ჩვენს სახლში დაინტერესებულ ადამიანებს ვეპატიჟებით და სხვადასხვა კუთხის „ალილოს“ ვასწავლით. ახლა საქართველოში ვართ და იმავე პრინციპით ვეპატიჟებით ადამიანებს, რომლებსაც ტრადიციული საშობაო ჰიმნების (Christmas carols) მღერა სურთ. დეკემბრის თვის ყოველი კვირა დღის საღამო, ჩვენს სახლში ასეთ მუსიკალურ შეხვედრებს ეთმობა. მოსულ სტუმრებს ნოტებით თავად უზრუნველვყოფ. შარშანდელ საღამოებს ძირითადად უცხოელები სტუმრობდნენ, რომლებსაც ამ სეზონზე ოჯახის წევრები და მეგობრები განსაკუთრებით ენატრებათ და ნოსტალგიას ალბათ ამ სიმღერებით იქარვებენ, ისევე როგორც ჩვენ ვიქარვებდით მონატრებას და ქართული შობა-ახალი წლის განწყობას, საზღვარგარეთ ქართული „ალილოებით“ ვიქმნიდით. სიმღერების კრებული, რომელსაც სტუმრებისთვის ვამრავლებ, მამაჩემმა ჩემს ბავშვობაში აკინძა. ეს ჰიმნები ოთხხმიანია და მათ ჩვენი შვილებიც მოსმენით იმახსოვრებენ და მღერიან.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ სიმღერებს, ბავშვებთან ერთად უფრო სადა ჰანგებს ვმღერივით, თუმცა ყველა კუთხისა და სირთულის სიმღერებს ვასმენინებთ.

## ანსამბლი „რიჰო“

1903 წელს სვანეთში, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და სვანური სიმღერების ჩასაწერად ჩავიდა ექსპედიცია პოლიევქტოს კარბელაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის შემადგენლობით. მათ მეგზურობას უწევდა ლაშხეთის ოლქის იმდროინდელი „ბლალ-ჩინი“ ივანე მარგიანი. სწორედ ამ ექსპედიციის დროს დაბადებულია სარაიონო გუნდის შექმნის იდეა, რომელიც მოგვიანებით ივანე მარგიანმა ალექსი ფილფანის დახმარებით განახორციელა.

ალექსი ფილფანს ამ დროს უკვე ჰყოლია მცირერიცხოვანი გუნდი, შემდგარი, ძირითადად, ფილფანებისა და რამდენიმე სხვა გვარის მომღერლისაგან. სწორედ ამიტომ, 1926 წელს, მესტიის ხელმძღვანელობას, ივანე მარგიანთან ერთად, სწორედ ალექსისთვის დაუვალებია, მისი გუნდის ბაზაზე, სიმღერისა და ცეკვის რაიონული გუნდის ჩამოყალიბება. მათ ცხენდაცხენ ჩამოუვლიათ ზემო სვანეთის ყველა სოფელი მომღერლების შესარჩევად და 1928 წლიდან ახალჩამოყალიბებულ მესტიის ანსამბლს ივანე მარგიანის ხელმძღვანელობითა და ალექსი ფილფანის ლობჯინაშვილის ხელმძღვანელობით ჯერ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, შემდეგ საბჭოთა კავშირის არაერთ ქალაქში გაუმართავს კონცერტები. როგორც მაშინდელი პრესა იუწყება, სვანურ ანსამბლს ყველგან ფურორი მოუხდენია.

1937 წელს მესტიის რაიონული გუნდი მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების პირველ დეკადაში, სადაც მისი გამოსვლა შეაფასეს, როგორც „მთიდან ზვავის მოსკდომა“. დეკადიდან ანსამბლი სოლიდური ფულადი და სახელობითი ჯილდოებით დაბრუნდა. ალექსი

ფილფანს კი პატეფონი გადასცეს წარწერით: „ა. ფილფანს დეკადაში წარმატებული მონაწილეობისათვის“.



მესტიის სარაიონო გუნდი ივანე მარგიანის ხელმძღვანელობითა და ალექსი ფილფანის ლობჯინაშვილის ხელმძღვანელობით (1928წ)

ივანე მარგიანის გარდაცვალების შემდეგ (1933) მესტიის სიმღერისა და ცეკვის სარაიონო ანსამბლს მცირე ხნით ჯერ მურზაყან დადემქელიანი ხელმძღვანელობდა, შემდეგ – სეზი გულედანი, 1938 წელს კი პლატონ დადვანი ჩაუდგა სათავეში, თუმცა, 40 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლომდე, მისი უცვლელი ლობჯინაშვილი ალექსი ფილფანი გახლდათ. 1967 წელს პლატონ დადვანმა გუნდის ლობჯინაშვილობა ისლამ ფილფანს მიანდო, 1982 წელს კი სამხატვრო ხელმძღვანელობაც მას გადააბარა. აქედან დაიწყო „რიჰოს“ ისტორია, თუმცა ეს სახელი ანსამბლს მოგვიანებით დაერქვა.

მესტიის სარაიონო გუნდის ისტორია წარმოუდგენელია შეუდარებელი მოცეკვავისა და მომღერლის, მაჰარბი გურგულიანის გარეშე, რომელიც 14 წლის ყოფილა, პლატონ დადვანს თავის ანსამბლში რომ აუყვანია (1940). ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მისი ცეცხლოვანი ცეკვები, არასოდეს დაავიწყდება ისინი. მაჰარბი გურგულიანის გარდაცვალების შემდეგ ანსამბლის ქორეოგრაფი კანდიტ მერლანი გახდა, რომელმაც, უზარმაზარი

წვლილი შეიტანა სვანური ფოლკლორული ცეკვის სასცენო ვარიანტების შექმნაში. იგი დღემდე აგრძელებს „რიჰოში“ მოღვაწეობას.



მესტიის რაიონული გუნდი პლატონ დადვანის ხელმძღვანელობით (1950წ)

ანსამბლი ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო (40-მდე წევრი), ასაკი კი 15-დან 70 წლამდე მერყეობდა! თუმცა, სიმრავლის მიუხედავად, ტრადიციული შემსრულებლობის კანონზომიერებები არასოდეს დაურღვევიათ და დღესაც განუხრელად იცავენ: რაც უნდა დიდი იყოს გუნდი, I და II ხმას თითო კაცი მღერის.

აღსანიშნავია, რომ „რიჰო“ ერთ-ერთი პირველი რეგიონული ანსამბლი იყო, რომელიც 80-იან წლებში, ბატონ ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით ჩამოიყვანეს თბილისში სიმღერების ჩასაწერად გრამფირფიტისათვის. სწორედ ამ დროს შეიქმნა საჭიროება ანსამბლისთვის კონკრეტული სახელის შერჩევისა და ისლამ ფილფანის ინიციატივით, მას „რიჰო“ ეწოდა. საკავშირო ხმის ჩამწერმა „ფირმა მელოდიაში“ ანსამბლის სიმღერები მრავალარხიან აპარატურაზე მეტად ორიგინალური ხერხით ჩაწერა: თითოეული ხმის მთქმელს წინ თითო მიკროფონი ედგა, ასე რომ, იწერებოდა, როგორც მთლიანი სიმღერა, ისე – მისი ცალკეული ხმაც.

ეს ჩანაწერები სასწავლო მიზნით შესრულდა და 2017 წელს საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ გამოსცა სერიით – შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა, რომელიც 13 სიმღერის სანოტო ჩანაწერს მოიცავს თანდართული 2 კომპაქტდისკით.

„რიჰო“ დღემდე აქტიურადაა ჩართული საქართველოს ეთნომუსიკალურ ცხოვრებაში და პოპულარიზებას უწევს სვანურ მუსიკალურ და საცეკვაო ფოლკლორს არამხოლოდ საქართველოში, არამედ, უცხოეთშიც. ანსამბლმა გასტროლებით (კონცერტებითა და მასტერკლასებით) მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და ის ფაქტი, რომ დღეს არაერთი უცხოური ანსამბლი სვანურ სიმღერებს წარმატებით ასრულებს და ჭუნირ-ჩანგსაც აუღერებს, ძირითადად, სწორედ ანსამბლ „რიჰოს“ დამსახურებაა.

„რიჰოს“ ღვაწლის დასტურია ბოლო წლების ჯილდოებიც: 2015-2016 წლის საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე „რიჰომ“ მუნიციპალურ ანსამბლებს შორის I ადგილი დაიმსახურა; ფონდმა „ქართული გალობა“ სვანური სიმღერის შენარჩუნება-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ანსამბლი ქართული ფოლკლორის მოამაგის ნომინაციაში დააჯილდოვა. არაერთი ჯილდო აქვს მიღებული ანსამბლის ლოტბარს, ისლამ ფილფანსაც: 2013 წელს საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ იგი დააჯილდოვა, როგორც „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე“ და მისი მონოგრაფიაც გამოსცა (ავტორი– მაკა ხარძიანი), ხოლო 2016 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიანიჭა.

2017 წელს, ისლამ ფილფანის გარდაცვალების შემდეგ ანსამბლს სათავეში მისი ვაჟი – ვახტანგი ჩაუდგა, რომელიც 2015-16 წლის საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ



ფესტივალზე, სვანური ფოლკლორის შენარჩუნება-პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისათვის, *პლატონ დადვანის სახელობის პრემიის* ლაურეატი გახდა. აღსანიშნავია, რომ ისლამ ფილფანის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, „რიჰოს“ ვახტანგის ვაჟი – ბემქენი – შეუერთდა და სცენაზე ფილფანების სამი თაობა ვიხილეთ!



ანსამბლ „რიჰოს“ სამი თაობა ვახტანგ ფილფანის ხელმძღვანელობითა და ისლამ ფილფანის ლობჯინაშვილი (2016წ)

ამგვარად, ანსამბლი „რიჰო“ ღირსეულად აგრძელებს მესტიის სიმღერისა და ცეკვის სარაიონო გუნდის ტრადიციებს და წინ უამრავი საინტერესო შემოქმედებითი პროექტი აქვს.

ტმკსც-ს სახელით დღეგრძელობასა და ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას ვუსურვებს ამ ანსამბლს.

**მაკა ხარძიანი**

## *უცხოური მრავალხმიანობა*

### **ისლანდიური თვისონგური**

ისლანდიური თვისონგვარი (მხოლ.– თვისონგური), არის ორხმიანი სიმღერა ლიდიურ კილოში, რომელიც სრულდება პარალელური კვინტებით და ხმების მრავალჯერადი გადაკვეთით ხასიათდება. როგორც წესი, ორი მომღერლიდან ერთი ასრულებს მთავარ მელოდიურ ხაზს, ხოლო მეორე მომღერალი – კონტრაპუნქტულ ხაზს; კონტრაპუნქტის შემსრულებელი იწყებს მელოდიური ხაზიდან კვინტიით მაღლა ან დაბლა და პერიოდულად ცვლის ამ ორ პოზიციას. შემსრულებლები ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლები არიან.

ბევრი ტრადიციული მრავალხმიანი სასიმღერო სტილისგან განსხვავებით, ორხმიანობა ისლანდიაში, სავარაუდოდ, უფრო გვიან დამკვიდრდა, ვიდრე მსოფლიოს სხვა ადგილებში. ისლანდიაში მრავალხმიანი მუსიკის ყველაზე ძველი მრავალხმიანი ნოტაცია მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისით თარიღდება. შუა საუკუნეებში და მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში ორხმიანობა ეკლესიის მეშვეობით ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, მხოლოდ XVIII და XIX საუკუნეებში, შავი ჭირითა და მიწისძვრით გამოწვეული სიძნელეების შემდეგ და მაშინ, როდესაც მუსიკალური განათლება ისლანდიელებისთვის მცირედ ხელმისაწვდომი გახდა, ეს, პარალელური კვინტებით ხმათა გადაკვეთით შესრულების სასიმღერო პრაქტიკა საბოლოოდ დამკვიდრდა ზეპირ ტრადიციაში.

ამ ეტაპზე მომღერლებმა დაიწყეს სხვადასხვა ტექსტების გამოყენება თვისონგვარისთვის. ეს უკვე აღარ იყო რელიგიური, არამედ უახლესი, ხშირად სასიყვარულო ან სმასთან დაკავშირებული საერო პოეზია.

თვისონგვარის ნოტირების მთავარ და ლამის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ხალხური სიმღერის მოყვარული პასტორის, ბიარნი თორსტენსონის მიერ 1880-1905წწ-ში შეგროვილი ისლანდიური ხალხური სიმღერების კრებული სახელწოდებით „სლენსკ“.



**დანिका ბოსიე**

მიუხედავად იმისა, რომ ხალხური სიმღერების ეს ფუნდამენტური კრებული მოიცავს თვისონგვარის 42 ნიმუშს, ეს სტილი არ შეადგენს თანამედროვე ისლანდიური ფოლკლორული რეპერტუარის ისეთ დიდ ნაწილს, როგორც მოსალოდნელი იყო. ისლანდია მსოფლიოში ცნობილია ინდიელისა და კლასიკური მუსიკით, ხოლო ისლანდიური ხალხური მუსიკა შედარებით ნაკლებად არის ცნობილი თვით ისლანდიელებისთვისაც კი. ეს დისბალანსი დანიის კოლონიური გავლენის შედეგი უნდა იყოს, რამაც, როგორც ჩანს, საზიანო გავლენა მოახდინა ისლანდიელების მუსიკალურ თვითშეფასებაზე, განსაკუთრებით – თვისონგურზე, შესაძლოა მისი შუასაკუნობრივი ელფერის გამო, და მისი სირთულე, ჯერ კიდევ არ გამხდარა ჯეროვანი სამეცნიერო და ესთეტიკური ყურადღების საგანი.

რაც შეეხება ჩემ მიერ 2018 წელს ჩატარებულ გამოკითხვას, იმ მომღერლების

რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ასრულებენ თვისონგურს, როგორც თავისი რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს, ათზე ნაკლები იყო.

სამომავლოდ, აუცილებელია, გავითვალისწინოთ ინტერნეტის დადებითი გავლენა თვისონგურის მიმართ ინტერესზე, რაც მომღერლებისთვის შესაძლოა იყოს ამ სტილის სწავლისა და შესრულების მოტივატორი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ ისლანდიაში 2018 წელს გამოკითხულმა მხოლოდ ერთმა შემსრულებელმა აღნიშნა ინტერნეტის გავლენა თვისონგურის გავრცელებაზე, ჩრდილოეთ ისლანდიაში თვისონგურის შემსრულებლობაზე ჩემს მიერ სოციალურ მედიაში განთავსებულ ვიდეოს პირველი 4 დღის განმავლობაში 4 000 ნახვა ჰქონდა ინტერნეტით, და ის გააზიარეს როგორც ისლანდიელებმა, ისე უცხოელებმა. იმ ადამიანების დიდი რაოდენობა, ვინც ეს ბმული ნახა და მოიწონა, მიუთითებს ისლანდიური და მსოფლიო აუდიტორიის მნიშვნელოვან ინტერესზე.

**დანिका ბოსიე**

*შუა საუკუნეებისა და ადრეული თანამედროვე კვლევების მაგისტრი, ვიქტორიას უნივერსიტეტის (კანადა) განათლების ბაკალავრი*

**ერთი ტრადიციული საკრავი**

**აფხარცა**

აფხარცა აფხაზეთში გავრცელებული სიმებიან-ხემიანი ხალხური საკრავია, რომელსაც საქართველოში გავრცელებული მსგავსი საკრავებისგან (ჭიანური, ჭუნირი) ფორმა გამოაჩევს. აფხარცას ნავისებური კორპუსი და ორი სიმი აქვს. საკრავის თავი, ყელი და

მუცელი მთლიანი ხისგანაა გამოთლილი და დაახლოებით 70-80 სმ სიგრძისაა. სიმები ძუის აქვს, რომლებიც კორპუსის ბოლოშია დამაგრებული და მაღალ ჯორაკს უჭირავს. აფხარცაზე მჯდომარე უკრავენ, საკრავი დახრილად უჭირავთ მუხლებს შორის. წყობა კვარტულია.



აფხარცა

აფხარცას ფუნქცია, ტრადიციულად, ნართული თქმულებებისა და ეპიკური (ისტორიულ-საგმირო) სიმღერების თანხლებაა, რომლებიც მრავლადაა გავრცელებული აფხაზეთში. გვაქვს ცნობები, რომ ბრძოლაში ყველა რაზმს თავისი მეაფხარცეები ჰყავდა, რომელთაც საკრავი ცხენის უნაგირზე ჰქონდათ დაკრული. ბრძოლებს შორის დასვენების დროს თხზავდნენ გმირთა სახოტბო და მხდალთა გასაკვიცხ სიმღერებს.

აფხარცას მიეწერებოდა ტკივილის შემამსუბუქებელი თვისებაც. დაჭრილისათვის ტყვიის ამოღების დროს სწორედ ამ მიზნით უკრავდნენ აფხარცაზე. ცნობილია ამ ჟანრის ე.წ. „დაჭრილის სიმღერები“, რომლებიც ტრადიციულად აფხარცის თანხლებით სრულდებოდა.

აფხაზეთი აფხარცაზე სიმღერას სამკურნალო თვისებებსაც მიაწერდნენ. წესად იყო ავადმყოფთან ღამის თევის დროს აფხარცას დაკვრა, სიმღერა და ცეკვა მისი თანხლებით.

აფხარცასთან ერთად სრულდებოდა სარიტუალო სიმღერებიც, მაგალითად, სიმღერები დამხრჩვალის, კლდიდან გადაჩეხილის, ხიდან ჩამოვარდნილის და საერთოდ, არაბუნებრივი სიკვდილით სახლის გარეთ და-

ღუპულის „სულის დასაჭერად“ (ამ რიტუალში ზოგჯერ ჩასახერი საკრავი აჭარპანიც მონაწილეობდა). აფხაზეთში დღემდეა შემორჩენილი „სულის დაჭერის“ სიმღერა „აფსტგაგა“. ეს რიტუალი ასეთი იყო: უცნაურად გარდაცვლილი ადამიანის დაკრძალვის შემდეგ ნათესავები შეიკრიბებოდნენ, რომ მისი სული „დაეჭირათ“ და „წაეყვანათ“ სხეულთან, რადგან, მათი რწმენით, მოულოდნელად დაღუპული ადამიანის სული მოშორებული იყო სხეულისგან და ღამით აწუხებდა მიცვალებულს, სანამ არ „დაიჭერდნენ“ და არ „შეაერთებდნენ“ სხეულთან. ამისათვის ამზადებდნენ გუდას, მობამდნენ აბრეშუმის ან ვერცხლის ზონარს, გუდას მიუშვრდნენ სავარაუდო ადგილს, სადაც დაიღუპა კაცი. სწორედ აფხარცას მიეწერება „სულის გუდაში შეხმობის“ თვისება. გუდის ჰაერით გაბერვა ნიშანი იყო იმისა, რომ სული გუდაში შევიდა. გუდას თავს მოუკრავდნენ და გაემართებოდნენ სასაფლაოსაკენ, სადაც „გუდიდან გამოუშვებდნენ სულს“ ისევ აფხარცაზე დაკვრით.

აფხარცაზე უკრავდნენ მიცვალებულთანაც, დასაფლავების წინა ღამეს. აფხაზთა ტრადიციით, მამას შვილის დატირების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ იგი აფხარცაზე დაკვრაში აქსოვდა მთელ ნაღველს, რაც, აფხაზთა რწმენით, აკეთილშობილებდა მიცვალებულის სულს და მამას მწუხარებას უმსუბუქებდა. დასტურდება ფაქტი მამის მიერ აფხარცაზე დაკვრისა შვილის დასაფლავების დროსაც.

ამჟამად აფხარცა, ფაქტობრივად, გამქრალია აფხაზური ყოფიდან და სამუზეუმო ექსპონატადაა ქცეული.

*მასალა დამუშავებულია მაკა ხარძიანის მიერ*

*მანანა შილაკაძის ნაშრომზე –*

*„ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“ – დაყრდნობით (თბილისი. „კავკასიური სახლი“, 2007)*

## ლაშარობა

ლაშარობა ფშავის, თუშეთის და ერწო-თიანეთის მთავარი დღესასწაულია. მთავარი სალოცავი, რომელიც ფშავის არაგვის ზედა წელში მდებარეობს, ლაშარის წმ. გიორგის სახელობისაა. ლაშარობა იმართებოდა პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათს. როგორც ხევისბერი ფილიპე ბალიური გადმოგვცემს, დღეობის მომზადების წესი ასეთი ყოფილა: წინა ღამეს თავი უნდა მოეყარათ ლაშარის საყმოს თემთა ხევისბერებსა და დასტურებს და ღამე უნდა გაეთიათ, მეორე დღეს კი სრულდებოდა დღესასწაულის ყველა წესი: დამწყალობება-მოხსენება, საკლავის დაკვლა, ქადა-შესაწირავის „გასერვა“, სანთლების დანთება, ფერხისას შესრულება და სალოცავთან დამშვიდობება...

ლაშარის ჯვართან დაკავშირებით ხალხში ამგვარი ლეგენდაა დაცული: ერთხელ ლაშარობაზე თავის მხლებლებთან ერთად ლაშა-გიორგი მისულა. ფშავლები მეფეს პატივით დახვედრიან და, მადლიერების ნიშნად, შინ დაბრუნებულ მეფეს გარკვეული ხნის შემდეგ მასპინძლებისთვის ძვირფასი ჯვარი გაუგზავნია. ფშავლები მას ლაშარში ინახავდნენ. გადმოცემა გვეუბნება, რომ სალოცავს მას მერე დარქმევია ლაშარის ჯვარი. ხალხს ამ ჯვრის დიდი სასოება ჰქონია. ლაშარის ჯვრის სალოცავი მოლაშქრედ ითვლებოდა და მის დროშას ლაშქარს უმძღვარებდნენ წინ.

ლაშარის გალავანში ოთხკუთხა ყორე ყოფილა, რომელზეც წმ. გიორგის ხატი და ჯვარი ესვენა. მღვდელი მოსულ მლოცველს ჯვარზე ამთხვევინებდა და აიაზმას ასხურებდა, ხოლო ხევისბერი საკლავს კლავდა და მოსულ ხალხს ლოცავდა, ისე, როგორც ეს მთის სალოცავებში იცოდნენ. ლაშარის ჯვარს ქადაგი ჰყოლია, რომელიც წმ. გიორგის ნებას გადასცემდა ხალხს.

ფშავის ლაშარში „საყეინოს“ სახელით ცნობილი დიდი თასი ინახებოდა, რომლითაც დღეობაზე გარდაცვლილ გმირთა შესანდობარს სვამდნენ.



ლაშარის სალოცავი

თუშეთის ერთ-ერთი მთავარი სალოცავიც ლაშარია. სოფელ ჩილოს ლაშარის ჯვრის დღესასწაულიც ივლისის თვეში იმართებოდა. ხატის მთავარი მსახური თუშეთში დეკანოზია, რომელიც, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ხატის მსახურების მსგავსად, დღეობისთვის „წმინდობს“, ანუ იცავს ყველა დადგენილ წესს, რომელთა შესრულების შემდეგ „წმინდად“ მიიჩნევა და უფლება აქვს, სალოცავს ემსახუროს. დეკანოზს ხატში ჰყავდა თანაშემწე, რომელსაც შულტა ეწოდებოდა.

დღეობაზე მლოცველი ადრიანად მიდიოდა. მიჰყავდა საკლავი, მიჰქონდა სურსათი, სანთელი, რიტუალური კვერები. ნაჭრებით და ფერადი ლენტებით შემკული და შემოსილი ხატის დროშა სალოცავში ან ცალკე ნაგებობაში ინახებოდა. დეკანოზი გამოიტანდა დროშას და ხატის ნიშთან მიაყუდებდა. მზე რომ გადაიხრებოდა, დეკანოზი და შულტები დგებოდნენ ხატის ნიშთან, ანთებდნენ სანთლებს და დეკანოზი იქ მყოფი მლოცველის დამწყალობებას იწყებდა.

შეწირული არყიდან დეკონოზი ერთ ყანწს დაღევდა, შემდეგ შეწირულ ცხვარს

რქებზე სანთლებს მიაკრავდა და დაილოცებოდა. შემდეგ ამავე სანთლით საკლავს შუბლზე თმას შეუტუსავდა, გადასცემდა შულტას, რომელიც კლავდა და დაღმართში აგორებდა. ამ დროს ხალხი დაიძახებდა: „წყალობა ხატსა!“ დაგორებულ ცხვრებს ბავშვები იჭერდნენ. ვინც შესაწირს პირველად მოკიდებდა ხელს, ამ ცხვრის გულ-ღვიძლი მისი იყო.



ფერხული „ქორბელელა“

ამის შემდეგ იწყებოდა სამზადისი ღვინისთვის, იმლებოდა სუფრები, იმართებოდა პურობა. საღამოს შულტები გამოიტანდნენ ლუდიან დიდ კოდს და იწყებოდა კოდის ლოცვა. ლოცვაზე დასწრების ნება მხოლოდ კაცებს ჰქონდათ. კოდიან ლუდთან იმღერებდნენ და ბოლოს დაიძახებდნენ: „გაუმარჯოს ლაშარის წმ. გიორგის!“ დილით დეკანოზი დააჟღერებდა დროშას. ყველა წამოიშლებოდა და კვლავ იმართებოდა პურობა. ამავე დროს წესად ჰქონდათ „ქორბელელას“ ჩაბმა და დოღი.

„ქორბელელა“ კაცების ორსართულიანი ფერხულია. ორსართულიან წრეში ჩაბმული კაცები ხატის კარამდე მიდიოდნენ და „ლაშარის სიმღერას“ ამბობდნენ: „დღეს ამ დღეობა ვისია, წმიდისა გიორგისია...“ წრეს ისე უნდა ემოძრავა, რომ არ დაშლილიყო. ხატის კართან წრე სამჯერ დატრიალდებოდა, „ქორბელელას“

მონაწილეები დაიძახებდნენ: „გწყალობდეთ ლაშარის ჯვარიო“ და დაიშლებოდნენ. ამ დროს შულტა სადეკანოზოდან ლუდს გამოიტანდა და „ქორბელელას“ მონაწილეებს ასმევდა. ამის შემდეგ ახალგაზრდები ჯირითს მართავდნენ და დღეობაც ამით მთავრდებოდა.

ერწო-თიანეთის მთავარი სალოცავიც ლაშარის წმ. გიორგი იყო. დღეობა აღდგომის მეცხრე კვირის ხუთშაბათს საღამოს იწყებოდა და შაბათ დილამდე გრძელდებოდა. ხალხი შესაწირებით (საკლავი, ქადა-სანთელი) მიდიოდა. ზოგიერთი მლოცველი ქალი თეთრებში გამოწყობილი, თეთრ ხილაბანდწაკრული, ფეხშიშველი იყო, ზოგიერთი მამაკაცი კი – წითელ ხილაბანდწაკრული.


ხატის დროშას ეწირებოდა „საკადრისები“ ანუ თეთრი თუ ჭრელი ნაჭრები, ფერად ლენტებს და ნაჭრებს აბამდა ხალხი ხატის ხეებზეც. იმართებოდა ღვინი, ცეკვა-თამაში. დღეობაში მონაწილეობის მისაღებად და სალოცავად ხალხი კახეთიდანაც მიდიოდა.

ფშავში დღესაც აღინიშნება ლაშარობა, რომელზეც ფშავის ყველა თემი იყრის თავს ლაშარის გორზე. თუმცა, ბევრი რამ შეცვლილია. ხევისბერს ჩამოერთვა ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია: თემთა შეკრებისა და გაერთიანების, უწესოთა დასჯისა... სარიტუალო სიმღერა „ფერხისა“ სრულდება, მაგრამ იშვიათად. თითზე ჩამოსათვლელი სოლისტები – კორიფეები შემოგვრჩნენ. შემცირდა რიტუალის მცოდნე ხევისბერების რაოდენობაც. თუმცა, ამჟამინდელი ლაშარის ხევისბერი – ლაშა მებნიაური ზედმიწევნით ასრულებს თავის ვალდებულებას და უძღვება ხალხს.

*მასალა მომზადებულია თეონა ნოზაძისა და მაკა ხარბიანის მიერ ნინო ღამბაშიძისა და ნინო ნაყეურის მასალებზე დაყრდნობით*

## ლაშარის სიმღერა

ჩაწერილი და ნოტირებულია შალვა ასლანიშვილის მიერ 1947წ



რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

*ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ტმკსც-ის სპეციალისტი*

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2020

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,  
გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

[www.symposium.polyphony.ge](http://www.symposium.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2020 წლის ივნისში